




161

ქვემოთა
გზობითაჲს

საბჭო

განი 1933 № 9 მარ. 40 კაპ



160 მანეთი

ამ სუბათზე უკეთესი
საჩვენებელის

(იხ. კლჯ. პირობები მე-15-ე გვერდზე)

საქმის მ. 193

„პაი დედა, ისევ წამნლა“



პირველად მასაც არ ჯეროდა, რომ ის ამ რამდენიმე წლის წინად მიღებულ იქნა კომუნისტურ პარტიაში.

ბიჭოს, მე სახუმარო ვინმე არ გყოფილვარ... ბოლშევიკების პარტიაში შეძრომა უფრო ძნელია, ვიდრე „ნემსის ყურწში აქლემის გაძრომა“! — ამბობდა იგი.

ვინა ვარ მე?

ხშირად ეკითხებოდა იგი თავის თავს და თითონვე უპასუხებდა:

სულთ და გულთ სისხლითა და ხორციით არა სოციალისტი, არა კომუნისტი ვარ. და თუ მაინც კომუნისტურად მოვიკაზმე ეს იმიტომ, რომ პარტიაში თავი შევაფარო! — ხუმრობა საქმე ხომ არ არის ლენინური პარტიის წევრი გახდი.

— ამხანაგო ბათლომე, — თუ ძმა ხარ მასწავლე როგორ მოაკვარაქინე ეს საქმე და გახდი კომპარტიის წევრი.

მე და შენ ხომ ერთმანეთს კარგათ ვიცნობთ... მე საბჭოთა აპარატიდან ვიყო გამოგდებული შავი წარსულსათვის და შენ კი პარტიის წევრი ბრძანდებოდე? არა ძმაო, ყველაფერს წარმოვიდგენ, მაგრამ მაგას ვერა! — ჩუმად ჩაულაპარაკა ერთხელ მას მისმა ძველმა მეგობარმა, რომელიც საბჭოთა აპარატიდან იყო გამოწმენდილი.

ბათლომეს არა ნაკლებ უკვირდა პარტიაში მისი დარჩენა უკანასკნელი წმენდის დროს, ვიდრე მისი მიღება პარტიაში. მას ჰქონდა რამდენიმე წელიწადი, მაგრამ მან შესძლო მათი „გაბათილება“ და წმენდიდან მშრალად გამოსვლა.

მართალია, გამწმენდი კომისიის წევრებისთვის რომ გეკითხათ ცალცალკე, ბათლომეს შესახებ, ყველასაგან ერთ და იმავე პასუხს მიიღებდით: საეჭვო პიროვნება... კომუნისტობის მას არასფერი სჯება...

მიუხედავად ამისა კომისიას არ ჰქონდა საკმაო მასალები პარტიიდან ბათლომეს გამორიცხვისათვის.

პარტიაში ყოფნის დროს ბათლომე განაგებდა არა ერთ საპასუხისმგებლო საქმეს, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ არც ერთ საქმეს მის დროს არ გაუხარია, — პირიქით, რა საქმესაც არ ჩაუდგებოდა ბათლომე სათავეში, უსათუოდ მას ლიკვიდაცააღი მიიყვანდა...

ბ რ კ ა ნ ე ბ ა

ქვემოთაა
გეორგიოთა

მაუ, ისმინეთ ჩემი ბრძანება, (რომ არ ისმინოთ, გაქვთ თქვენ რა ნება!). გახულ ნომერში შემოვითვალეთ რომ იუბილეს ჩვენ ვინდით მალე. რასაც იქ ვწერდით, თქვენც იცით კარგად და დრო კიდევ თქმის რად დაგვეკარგა? უნდა შესრულდეს რაც იყო თქმული. ახლა კი სხვა გვაქვს თქმად ვანზრახული: ყველა ჩვენს მუდმივ თანამშრომელ - კორებს ზოგს თუ ახლობლებს, ზოგს ისევ შორებს მიეცა ჩვენგან წინადადება (არ შეიძლება მის გადადება): შეუდგენ საქმეს დღეს თუ არ, - ხვალე და მასალები აგზავნონ მალე.

ახლა გავიგებთ ვის გაქვთ ნიჭია თქვენში რომელი კაი ბიჭია. საიუბილეო იყოს მასალა და ისეთი, რომ როგორც სამსალა... ნუ აჩქარდებით, — თორემ ვინც ჩქარობს, ის კი არ ხუმრობს, — იგი მასხარობს. (ხუმრობა სხვაა, მასხრობა — კი სხვა) პირველს — პატივი, მეორეს — კიცხვა). ტყვილად შელანი ნუ დაიდვრება. ფართოდ გავშალოთ სოცშეგობრება. უნდა ავწიოთ ხარისხი მაღლა, არ უნდა ვიგრძნოთ არც ერთმა დაღლა. ახლა გავიგებთ ვინ რა ბიჭია, თქვენში რომელს აქვს მეტი ნიჭია!

ინაფი

კალმის-წვერზე მედინსტიტუტი

მოვასხენებთ მედინსტიტუტს: არ მოხდება, რაც მომხდარა... ერთი შეხვით ამ ტროცკისტებს, ესტრადანზე გადმომდგარან და სტუდენტებს უკითხავენ პარტიისა და დიამატსა იმგვარად, რომ მათი მარქსი არ მიიგავს ჩვენს კარლ მარქსს... მათი აზრით ეგებ ექიმს არ სჭირდება დიამატი. კბილის ტკივილს ვერ მოარჩენს ვერც მარქსი და ვერც კანტი. თუ ეს აზრი მედინსტიტუტს ასე ესმის, გავგება, — არა ერთხელ, როგორც ახლა, კალმის წვერზე წავგება... ტროცკისტებს კი ასე ვეტყვი: — კონტრაბანდით ფონს ვერ განვალოთ. თუ თქვენგანი კიდევ შეგვრჩი ჩვენს რიგებს თქვენ მეტს ვერ ნა- ხვალე მინი.

ცხადია, ბათლომეს პასუხს თხოვდენ, ინისნებოდა კომისიები, რომლებიც დღეობით და კვირაობით იკვლევდნენ მის წამოქმედარს და ბოლოს მაინც მთავარ მიზნად „ობიექტურ პირობებს“ ასახელებდენ. ბათლომე კი ყოველთვის „ცამდი მართალი“ გამოდიოდა... როგორ ხასიათზეა ახლა ბათლომე მომავალ წმენდის გამო? ბათლომეს სჯეროდა და ახლაც სჯერა, რომ მისი „გატეხილი კოკა“ მეტ წყალს ველარ შიიტანს.

ბათლომე დარწმუნებულია იმაში, რომ პარტიის მომავალ წმენდას ის ველარ გაექცევა (ბათლომესთან ერთად ეს ჩვენც გვჯერა). ამიტომაც არის, რომ მას ხან და ხან ისეთი კენესა აღმოხდება, გულის სიღრმიდან, ხოლმე, რომ შიშისაგან ფერი ეცვლება და მიკმენდილი ხმით ჩაილაპარაკებს:

— ვაი დედა, ისევ წმენდა!... უშუბარა.



კოლმეურნეს


გუგული ხეზე შემოვდა,
 შემოსახა: „თესე, კაფე“.
 კოლმეურნევე ახლა გმართებს
 მეტი შრომა და სისწრაფე!
 თესვის გეგმა შეასრულე
 ხანამ არის დრო და ხანი *),
 რაც მიწის ნაკვეთი გქონდეს
 ყველა დაბარე, დახანი!
 მესაკუთრემ არ გაფობოხ,
 ფხიზლად გეჭიროს თვალ-ყური,
 ნაყოფიერად იშრომე
 ყალბი არ გარგებს ფაფხურა!
 სოფლის მაღალი კულტურა:
 ჩაი, ვაზი და თუთუნი,
 შენ ისე დაწეშავე,
 ვერავინ დასდვას მას წუნი!
 ხომ გინდა, რომ შენ მიიღო
 ყარგი ხარისხის ფართალი?
 თუ იზარმაცებ ვინ მოგცემს?
 მე უ! და გითხრა მართალი!
 ქალაქის პროლეტარიატს
 შენ მიაწოდე სურსათი,
 განა არ ვიცი, რომ შენაც
 ნაწარმოები ვსურს მათი?
 ხელი ხელს ბანს და ორივე
 შემდეგ კი ერთად თავს და პირს
 აგრეთვე მუშა და გლეხი
 ერთად დასძლევენ გასაჭირს!
 ს. თ—ია

*) „ვიდრე არასდროს,—გვიან ხვობს“,
 ანდაა არის თქმულია.
 მაგრამ, ს. თ—ია, მინდვრები
 დათესილ-გადახნულია.*)
 ასო.თ.—ამჟამად.
 *) განა ცოტა არის მძინარა, რომელიც
 ჯერ კიდევ არ შედგომია თესვას? აი მათ
 ეძღვნება ალბად ეს ლექსი.
 კო.რამბო.რი.

ფაშისტურ გემანიაში

ნახ. ნადარეიშვილი

გერმანიის ევრე ერთი პარტიის პრესა,
 ვარდა კომპარტიის პრესა, ვერ შედგეს
 ხვის ამოღებას ფაშისტის წინააღმდეგ.



ერთი მაგრად დაიკვნესა
 და დადუმდა მათი პრესა

შებრუნებული მცნება

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის
 შაირია ამად კარგი“.
 ასე ამბობს რუსთაველი,
 ბრძენი ენა მონაქარგი!
 მაგრამ ახლა პოეტებმა
 შეაბრუნეს ბრძნული მცნება:
 მოკლე სიტყვას გრძლად ამბობენ
 და პოემაც წუთში ცხებენ!
 ან კი რა ჭანს, მოკლე სიტყვას
 მოკლე მოსდევს პონორარი,
 და სიძვირის პირობებში
 ეს ხუმრობა ხომ არ არი!

ხუშიაია.

ფიქცია

(ქუჩის მკრნობა სასურაღმებო)

მაკლენალის

ბანაჟირი

ნახ. მარიაშის

სანიანგოში

სანიანგოში
ნიკოლოზი

ზიათურა:

ჭიათურაში იცნობენ
ხერგოა ასათიანი,
წაღად სჭირდება იმასა
პანლური ლაზთიანი!
ღამეს გლეხკომში ათევედა
შემდეგ მოსთხოვეს ფულია,
გაბრაუნდა სერგო ძალზედა
და გაუსხიდა გულია,
დაღეწა ბეჭტი ჭურჭელი,
თან ორი დოქი გაღება,
დარაგებს მოკვლას შემპირდა
და აცაცხანდა მკვანთა,
ამბობენ: სერგომ გაყიდა
ობლივაცია მისიო,
მოწმობა თითონ აქეთა
ხელი აწერა სხვასიო!

აქვე გიგუშა კაცსაძე
თეატრის მსახიობია,
სულ რომ არ იყოს ეს გმირი
ეს გაცილებით სჯობია!
ლოთობა — კრივი გინება
არის იმისი საგანი,
კაცს მოკლავს, არვის დაზოგავს,
ხელში უჭირავს ნაგანი.

იცნობდეთ: ყოფილ ხუცესსა
ქვია სახელად სარდიონ,
მუდამ დღე ნიანგკორებმა
ის სად ეძიონ, სად სდიონ!
სოფელ ბუნაის სკოლაში
მასწავლებლობას ეწევა,
უყვარს ბავშვების თმის გლეჯა
და თან ყურებს აწევა!


საგავახოში მოლარედ
ქალი მსახურობს ლამაზი,
კაცი ვე დასთვლის თუ რამდენს
იმან დასცინცლა აბაზი!
ხურდა ფულს აღარ იძლევა
იმას დაქვეს კერია,
ახეთი გვამი ცხადია,
რომ კლასიური მტურია!

ქუთაისის გაზ-ბიურომ
დაიკრიფა გულზე ხელი,
თავმჯდომარე ღვინოს ულაპავს
„მთავბუხს“ უყვარს მჭადი ცხელი!
გაზეთების დარიგება
კვლავ გვიანობს, კვლავ ფერხდება,
ხელისმომწერს, ზოგჯერ თვეში
ერთი ცალი აღარ ხვდება.


ქნელოლი



ბედნიერების მწვერვალზე ვწვივარ,
როცა ტრამვაით ხაღმე მივიღვარ.
თუმცა დღომისგან მტკივა ფეხები,
მაგრამ მგზავრთ შორის რომ ვეკეხები,
თავს ვგრძნობ ფინწეც კი უმჩატისად,
როგორც შეშვენის კაცს ჩემებრ ქესატს?
თუმც სიქსაბე ჩემი ვის ესმის.
ჯობზე სხვისი ხელი სულ მესმის,
მესმის კი არა, მიძვრება შიგაც:
ჩანს, რომ იქ ფულებს დაძებნ ვიღაც!
ოი, საბრალო, როგორ ღორდება?
ახლა სხვა მოდის, ის რომ მშორდება.
თითქოს ეს ჯობე არ იყვეს ჩემი,
მატარებელი იყვეს ან ვემი,
რომ ლებულობდეს ამ „პასაჟირებს“,
ისე სინჯავენ პირიდან ძირებს.
მაგრამ ეს ხალხი ხომ შედარებით,
პატიოსნებით თუ შებრალებით,
ღვას გაცილებით მაღლა ზოგზედა,
უმრავლესი რომ არის ჯოგზედა,
ძრწიან ბაზრებში, როგორც ქარები
ვით შიშის... მტრისა ჯარები!
და იტაცებენ ისე, აქარად,
იმავე დროს ფონსაც გადიან მშრალად!
აქ ყველა ზომა არის „ფიქცია“!
საქმეს ვერ შევლის ვერც მილიცია,
თუმც ვაჟკაცურად — ხან იქ, ხან აქეთ
ის ერეკება ამ „მოქალაქეთ“!
ამას წინაზე
მიაქვს ბინაზე
ერთ მოქალაქეს სავსე კალათი
საზრდო, რათ უნდა ამას კამათი?
და ტრამვაში რომ მოკალათდა,
ის ფეხთან იდგამს თავის კალათსა...
ბილეთის ხურდა,
აღბათ, რომ სურდა...
მაგრამ აქ ნახა მარცნი ახეთი:
რძიანი ბოთლი ასცანცლეს ერთი...
მიმოიხედა,
ხოქვა: „გაო, დედა“!
და მეორე ბოთლს დაავლო ხელი,
დაიქნია და სადღა მრთელი?
რძით სავსე ბოთლი შუა გადატყდა.
და იატაკზე რძისგან ტბა დადგა!
აქ მგზავრი შეცბა! „მაგრამ ბუნდ დახეთ!
მის წინ კალათის გაშქრა თვით სახეც!
შაიდა — იქით! შაიდა — აქეთ!
ვინ წაიღეთ ანდა ვინ დაინახეთ?!
ამ დროს წარმოსდგა წინ კონდუქტორი,
გამოშვერილად მოაქვს რა ტორი,
ხამი მანეთი მოსთხოვა „შტრაფი“!
ხიტყვა მისი და საქმეა სწრაფი!
თორემ აქ ძალა და მილიცია
უკვე კლდე არის, არა „ფიქცია“!
მხოლოდ კალათი რძით, სანოვაგით,
ვით მოისმინეთ ეს ჩემის ბავით,
გზაში თუ თვალი არ მიგიცია,
სახლში მისვლამდის ხდება „ფიქცია“!
პანკირა



აღარ ვიცი სად წავიდე,
ანღა თავი სად დავკარგო!
საქმე მაჩენს მუდამ შავად,
ყალბით როგორ მოვიქარგო?
შუბლმაგარების ბრძანებითა
შემოვიღე მე ემზარგო;
ისე მიღის ჩემი საქმე
მგონი მაღლე ავიზარგო!




— ეტყება ეს კაცი ინგლისელი დიდი ვინმეა, თორემ სხვა ვინ იკადრებდა ქუჩაში თეთრეულის გა-
მოკიდებას!

ნახ. დონის

„საკვატიო მიზეზი“

ქრონიკული
გიგლიოთეკა

ნახ. კომპიუზილის.



— თქვენი ხარჯთაღრიცხვით ამ ხნის განმავლობაში ამ შენობაზე მესამე სართული უნდა დაგეშენებიათ!
— სამაგიეროდ, ხომ ხედავთ, ახალ ფარდული ავაგეთ, ხარჯთაღრიცხვაც დავიცავით და ვაღაზე ვამთავრებთ!

გაიარ-გამოიარეთ

რა ცეცხლია, როცა დრო დაყოვნებას არ იძულებს, როცა მთელი ცხოვრების გეგმა ჩაშლის პირზეა, ხსნა შეუძლია ერთ კაცს და სწორედ იმ კაცის მისამართი არ იცი. იცი მხოლოდ რაიონი, ისიც დაახლოებით. ქუჩის სახელი კი ენის წვერზე გედება, მაგრამ ვერ აღგიდგენია მესსიერე-ბაში.

უნდა ნახო ეს კაცი. ის გამოასწორებს ყველაფერს, მას შეუძლია ყველაფერი. მას ფულიც აქვს და გულიც; კეთილად მომართული.

მერე? თბილისში კაცი ვერ ნახო, განათლებულმა კაცმა განათლებულ ქალაქში? ისიც განათლებული კაცი? სირცხვილია...

ვერის რაიონი... სწორედ ვერის რაიონის ცხვირ წინ, ბალის თავთან იქ, სადაც ტრამვაის საკვანძო პუნქტია, სადაც სდულს და გადადულს ცხოვრება, — სადაც მრავალი მოქალაქე დაჯარიმებულია, ზოგი მართებულად, ზოგი უმართებულად მილიციელის პრინციპიალური სიწყინდის გულისათვის, — აი აქ თვალსაჩინო ადგილას, იქ, სადაც კიოსკია, მოთავსებულია ცნობათა ბიურო, მიხვალ და გაიგებ, შენც გემშველება, გემაც გამოასწორდება. ყველაფერი, რაც ახლა აწყვეილ-დაწყვეილად მოსჩანს, თავის კალაპოტში ჩადგება.

— უპაცრავად, აქ შეიძლება ცნობის მიღება? ერთი ამხანაგის მისამართი მინდა გაგიგო.

— რატომ არა, თავაზიანად მიპასუხა მანდილოსანმა.

— მაშ, ამ რაიონში...

— არა მეგობრო, ჯერ ლაპარაკის უფლება არ გვაქვს. არც მე და არც შენ. სუ! ჩუმად. ჯერ მოიტანეთ ორი მანეთი...

ძნელზე ძნელი იყო იმეამად ორი მანეთის გადახდა იმდენად, რამდენადაც მე უმთავრესად ფულისთვის დავცებდი იმ კაცს. მაგრამ რაკი სხვა გზა არ იყო, ამოვიღე სამი მანეთი, უკანასკნელი ფული, და მივეცი მანდილოსანს. ჩასწერა-ჩამოსწერა, გაატარა-გამოატარა დავთრებში, ისე, რომ ხურდის მოცემა გადავიწყა... ცხადია, მე არ დამავიწყდა ჩემი ერთადერთი სასოება — ერთადერთი მანეთიანი და



— არ გიცო ღმერთმანი, ვისთვის კერვენ ჩვენი ტრესტები ტანსაცმელსა და ფეხსაცმელებს! ეს ჩემი მდაბალი ამხანაგი თავის სარგო კოსტიუმს ვერ ნახულობს, მე კი — ფეხსაცმელებს.

სამჯერ გაფრთხილების მიცემის შედეგად უკანვე დავბრუნე ხურდა.

— რა გნებავთ?

— აქ ამ რაიონში არის მარტის ქუჩა... თუ შეიძლება გეთხარით დაახლოებით სად იქნება.

ქალმა სერიოზული სახით ჩაითვალიერა რაღაც დავთარი და განაცხადა, რომ ასეთი ქუჩა არ არსებობს თბილისში. ყოველ შემთხვევაში მას არ აქვს აღრიცხვაზე. რა ჰქვიაოდა წინაღ?

— მეონი ბოგოსლოვის.

— აჰა! იმითმაც არარის აღრიცხვაზე. „ბოგოსლოვიე“ კონტრ-რევოლუციია.

— დანებეთ თავი პოლიტიკურ შეფასებას. მე მითხარით, როგორ მოვეძებნო მარტის ქუჩა...

— გაიარ-გამოიარეთ, ყოველ შემთხვევაში. აქედან გაყოლებული და გაიკითხეთ... ვინშეს როგორ არ ეცოდინება.

— შე ოჯახ აშენებულს, გარებ-გამორება ისედაც შეშეძლო, ორი მანეთიც რომ არ გადამეხადა. მე მისამართი მინდა იმ კაცის, თუ არაფერი იცოდი ფულს, რაღად მართმედი.

— აბა უფულოდ რომ ვილაპარაკო, კარგი დახლი დამიდგება...

— შენ სახელმწიფო მოსამსახურე ხარ, თუ მარჩიელი? ფული დასდეთ აქ, თორემ ამ „ბუღკას“ რომ მოვიკიდებ ხელს, სულ მივლევ-მოვლევავ.

— მილიციონერს/რს! — დაიძახა ქალმა.

— დააჯარიმეთ. 5 მანეთით, — გასცეს განკარგულება, მაგრამ ვინაიდან ფული არ აღმომაჩნდა, კომისარიატში დავყავი იმ ღამით.

სამხიარ-გან-უიხ.



წერილები გორიდან — არ გეგონოთ შეხვედრას

მუხრან და ანდაზების რეკონსტრუქცია

დღემდე ეჭვი არავის შედიოდა, იმაში, რომ „ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ქურდია“.

მაგრამ გორის რაიონში ეს ანდაზა ასე ესმით: ნემსის ქურდი პატარა ქურდია, ხოლო აქლემის ქურდი — დიდი ქურდია. ვინაიდან პატარა ქურდს მაგრად არ ჰკიდებენ ხელს. ამიტომ ყველა ქურდს მდგომარეობის მიხედვით შეეჭმნა შეგნება და ერთბაშად კი არ იპარავს, არამედ ცოტ-ცოტობით ქურდობენ. მაგ. ს. ხელთუბანში მოიპარეს ტირიფონის არხის სამუშაოდან ბეტონის აგურები, წონით თითო აგური 2 ფუთი, სულ 80 ცალი. ეს მასალა მოახმარეს თავიანთ სახლების აშენებას. აი მათი გვარებიც: მერებაშვილი არშაკ, ჯავახი სარქისა, წერაშვილი გიგა, სეფელაური თედო, შეგრელი ოსა, მელაძე კოტე, კობლიაშვილი ჯაქარია, ბაბინჯაყელი გიორგი, ფუხაშვილი ვანე, შეგრელი ილა, შავლოშვილი დათა და კობლაშვილი არშაკა.

ამ ქურდების შესახებ იცოდა მილიციამ, მაგრამ ასეთ „წერილმან საქმეზე“ არ იწუხებს თავს.

— სულ ერთია, მასალა სახლების აშენებას მოხმარდა. რა ფუცოთ მერე, რომ ტირიფონის არხს მასალა დააკლდა. „ღმერთმა ერთი რით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმინდოს“. იძლევა პასუხს გორის რაიონის მილიციის უფროსი.

ამავე ხელთუბანში ცენტრიდან მოკვლინებულ ამხანაგი მოხსენებას აკეთებდა ქურდობის საწინააღმდეგოთ და სხვათაშორის განმარტავდა — ქურდმა ერთი ცოდვა ჰქაბა, ხოლო დამკარგავმა — თასიო. თავის მხრით ყველამ კარგად უნდა მოუაროს თავის ქონებასო.

მოხსენების შემდეგ გამოიკვია, რომ თითონ მოხსენებელს მოჰპარეს სკამის სასურვეზე გადაკიდებული პალტო და ქელი (ალბად იმ მოსაზრებით, რომ „ნუ დასცინი სხვასო, გადაგდება თავსო“).

ს. მეჯვრისხევეში ჩადენილმა ქურდობამ ბევრ გაუგებრობას მოუღო ბოლო.

მეჯვრისხევეში მომუშავე საბჭოთა მოსამსახურეს ტფილისში ყოფნის დროს ბინა გაუტყვნეს და გაქურდეს.

მილიციის ინსპექტორ ირაკლი ტატიშვილის განმარტებით „წადებული მცირე თანხისა და სისხლის სამართლის მილიციის გამოძახება გორიდან არ ღირს“.

მოქ.: — მიმართავთ თუ არა რაიმე ზომებს ქურდების აღმოაჩენად?

მილ. ინსპ. — თუ შეგიძლია დაგესახელო ვინ არის ქურდი, უსათუოდ დავიჭერთ.

მოქ.: — თუ ვიცოდე, ვინ არის, თქვენ ხომ აღარ ნაკარგვდნენ ბოგებენათ!

მილ. ინსპ. — რომელ ერთს დავა-


ნახ. თოიძის.



ქალს რაღაც გახვეული ეკავა ხელში. გახვეულიდან ჭყვილი მოისმოდა.

— გზა მიეცით, ჩვილბავშიანი ქალია!

ყველამ გზა მისცა და ქალი თავისუფლად შევიდა წინა ბაქანიდან ვაგონში.



როცა რამდენიმე გაჩერების შემდეგ ქალმა მოინდომა ჩამოსვლა, გახვეულიდან ისევ მოისმა ჭყვილი.

— გზა მიეცით, ჩვილბავშიანი ქალია!

როცა ქალი ვაგონიდან გადმოვიდა, მას ხელში ბავშვის მაგიერ გოჭი ეჭირა.

დოთ ხელი, შენც მეზობლები არიან დედალიანთ უბანში წიპრა ბიჭი, ჯიკა ბერკოსთან რომ ყომარის სპეცები დადიან, ჯოი, ქაცნა, შენი სახლის პატრონი ხორციკაპია პაპა-ლატო ჯიბე, აჯილა, ბესურა, ჰობლა, ლექსაბიჭი, ქაჭა, დაიდურაღე.


მოქ.: — რა ვიცი ჩემი მეზობელია თუ სხვა ვინმე; თქვენ ვინც გყავთ შენიშნული მოჰკიდეთ ხელი.

— ვინმე ახლობელი იქნება, ამა შე კაცო, ხატილევია ხომ არ გამოვიდოდა გაღმიდან, ან თავუთხას ბიჭი, ან ქაკო! — ემოწმება საგუშაგოს უფროსს ვიქტორი მილიციის ინსპექტორს და ამით მუსაფიცი თავდება. მოქალაქე დარწმუნდა, რომ ფანჯრის გატეხის საშუალებით ბინის გაქურდება არ ყოფილა სისხლის სამართლის დანაშაული და წერილფება ქურდების გამოდევნებაც არ ღირს.

კაცი რომ ძალიან კარგად ჩაუფიქრდეს, შესაბრალოც კი არიან წერილფება ქურდები. მეჯვრისხევის სამკითხველოს ახლოს ე.წ. დავალიანთ უბანში გახშირებულია ქათმებისა და კვერცხების ქურდობა. საშუალო ქურდები სულ ოთხბაზიანი კვერცხებით და თხუთმეტ მანეთიანი ქათმით იკვებებიან. ვინ იცის იქნება წელიწადში ერთხელაც არ შეხვდეს ასთუმნიანი კამერის ხორცის ქაბა...
საკუროთა ახსნა — განმარტება ჩატარდეს იმის შესახებ, თუ რომელ რაიონში, რა რაოდენობის მოპარვა შეიძლება, მოპარული საქონელი კოოპერატიულ თუ საბაზრო ფასებში იქნება ნაანგარიშები. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდ გაუგებრობას ექნება ადგილი: დაზარალებული მოქალაქე დიწყებს მტკიცებას, რომ დაკარგული საქონელი კერძო ბაზარზე აქვს ნაყიდი, ქურდი კი იტყვის კოოპერატივშიაო. მაგალითად, მეჯვრისხეველ ილიკო ბუჯიაშვილს ოთახის გატეხის საშუალებით რომ ხუთი ფუთი ბური მოჰპარეს, დამზადების ფასებში თუ ვიანგარიშებით, ღვენათ არ ღირს.

მოკლედ „ხენაში მორიგება სჯობია მკაში მორიგებას“. მკითხველი შენიშნავდა, რომ ბევრი ანდაზა მოვიყვანე და აქედან მხოლოდ ერთია რეკონსტრუქციამხილი. ან სხვა ანდაზებსაც უნდა გაუკვიდეს რეკონსტრუქცია, ან ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი, ორივე ნამდვიდ ქურდათ იქნას ჩათვლილი, თორემ ავიხილდება ვინმე და დიწყებს მტკიცებას, რომ აქლემი კია ძვირი, მაგრამ ნემსის მაგიერობას მაინც ვერ გასწევს.

სიონ-აღა.




წერილი აჭარისტანიდან

მდინარე კოროხი დიდი ხნიდან არის ცნობილი ქვეებით და როხებით, არანაკლებ სახელგანთქმულია სიგე- უით და როხროხით, დღეს საყურ- ლებო შეიქმნა ნაოსნობით: აჭარმშენი საქმიანობს, — შეატურეს წყალში ნავი, ფიცარს ფიცარი მიაჯრეს უცნაური სანახავი... წყალი შიგნით მისრიალებს

იგზავნება ამგვარი ცნობები ბა- თომს და ადმინისტრაციას კოროხის პირად საყვედური თავს ათოვს:

დინჯად აბოლებენ ყალიონს და ალიონი მისდევს ალიონს...

წყალში ჩაძირული გვამები კი ამათ ელოდებიან მშველელს, თან ქირისუფალთა მითქმა-ტირილი იკ- ლებს ტყე-ველს...



სველდებიან როგორც ყვავი, ხელმძღვანელად დაუნიშნაეთ ავადმყოფი საცოდავი. ნავი წყალში იძირება ხშირი ვახა ეს მოვლენა, — ბარკი, ხალხი, დიდი მცირე, ისმანა, თუ ნუტა, ლენა.

რა ზომებს იღებს ამ მოვლენის წინააღმდეგ ადმინისტრაცია? თით- ქმის ყოველდღე ბათონისაკენ იგზავ- ნება დელეგაცია და საქმეს სტდე- ბა სამი, თუ ოთხი კაცია:

მოგვაშველეთ მცურავები, ჩანგალი და საქმის სპეცია; უვიცები აქაც კმარა, ხარმაცი და ცოდნით ბეცია...

რას უყურებს აჭარმშენი? — აი რას: მეორე წელია კოროხის ხიდის დასამთავრებლად მიღებული აქვს „საქართველოს ჩაი“ დან ორასი- ათასი მანეთი, ლიმონ - მანდარინის ტრესტიდან — ასე ათასი მანეთი რა სხვა ორგანიზაციებიდან კიდევ მე- ტი, მაგრამ ვინაიდან ზაფხულში ცხელა, ხოლო ზამთარში ცივა, ხელ მძღვანელსაც საქმისთვის თავი არ სტკივა:

„კამეჩი წვეს და იცოხნის თავის ამინდი გონია“... მუქთი აქვს კამა შესარგი — სახრავი, ერზო, ქონია...
ბრ. წითელაშვილი

ექიმგაზის ოინებუი

წინააღმდეგ კვაიკ არა გთხოვ, ჯერ მოგარჩინო დამაცი, და მსოლოდ ცოტა სახარჯო ისე მიზოძეთ ავანსად. და რვა თუმანი ჩაჯიბა ღვინო, პური და ყველიო. — რიცა მოგარჩინ ვასილჯან, მე-ე ბეგრ რამეს ველიო, და ეს „ექიმი“ ვასილის იყო სულ ხშირი სტუმარი, დროს ატარებდა ქეიფით ჩხარული ღვინით დამტკარი. ავადმყოფი კი დამაიდა რისთვისაც ხარჯი გასწია.

რის დრო დაკარგა რა ეშველება აწია. — ნიანგმა თუ არ გამოვიო ისე ვინ მახლებს ხელსაო, — ლილინებს ეს ვაფბატონი აკეთებს საქმეს ხნელსაო. ასე გაუტკბა ექიმმაშ გლუნის ღვინო და პურია, ნიანგო, გთხოვთ შენებურად, მას ალწოთ ყურაო.

წინააღმდეგ კვაიკ არა გთხოვ, ჯერ მოგარჩინო დამაცი, და მსოლოდ ცოტა სახარჯო ისე მიზოძეთ ავანსად. და რვა თუმანი ჩაჯიბა ღვინო, პური და ყველიო. — რიცა მოგარჩინ ვასილჯან, მე-ე ბეგრ რამეს ველიო, და ეს „ექიმი“ ვასილის იყო სულ ხშირი სტუმარი, დროს ატარებდა ქეიფით ჩხარული ღვინით დამტკარი. ავადმყოფი კი დამაიდა რისთვისაც ხარჯი გასწია.

წინააღმდეგ კვაიკ არა გთხოვ, ჯერ მოგარჩინო დამაცი, და მსოლოდ ცოტა სახარჯო ისე მიზოძეთ ავანსად. და რვა თუმანი ჩაჯიბა ღვინო, პური და ყველიო. — რიცა მოგარჩინ ვასილჯან, მე-ე ბეგრ რამეს ველიო, და ეს „ექიმი“ ვასილის იყო სულ ხშირი სტუმარი, დროს ატარებდა ქეიფით ჩხარული ღვინით დამტკარი. ავადმყოფი კი დამაიდა რისთვისაც ხარჯი გასწია.

საპენი საბიკონი

(სო.ო. მსანი) გიგლიძეთა

— აბა ძებო, რას შვრებით, მალე იწყებთ ხენათესვას? შევეკითხე სოფელ ქსნის კოლმეურნე გლეხობას. — თესვა როგორ დავიწყოთ რაცა თესლი არა გვაქვს. გაჰგე ულყანიშვილი თესლს სულ აცლის ბარაქას! „ცინე შიგნით გატყდება“ ვიქტორის ელყანიშვილი. (კოლექტივის ქონებით სუფრა რომ აქვს ვაშლილი! იყო პოლიციელი მათრახრია ხელშია, ოქტომბერმა ეს „გმირი“ შეაძვრინა ხერგლოში. ბრძოლა როცა მიწყნარდა, გაჩნდა კოლექტივები, ჩნები სიძულვილითა აკრაკუნა კბილები! ზელოს გამგედ გაძვრა და ხორბლით იწყო „მოლხენა“ ოცდაორი ფუთამდის გააცურა მან ხელად, კოლექტივის წმენდაზე მოსცეს ნიშნადურია რადგან მავნებლობითა საქმე მთლად აურია. მაგრამ მცხეთის მიწგანშა მას ყოლია „გმირები, ასეთს ხალხსა ნიანგო, ჩაუმტვრიე კბილები!

კალმოსანი

განახლებული პროფესია

ნახ. ლონის.



გაუთხოვარი მალი: — პუ- რის წინგაკების მისაღებად მოწმე მჭირია კომისარიატში, რომ მე კმარები მყავს და შვილები, ერთი დედა და ორი მამა! ცრუ-მოწმე: — თითო სულის დდასტურება სამი მანეთი ღირს.



სტუდენტი

(თითქმის ნამდვილი ამბავი)

ჟურნალში მოსათავსებლად წერილი ვადმოგვცა რედაქციაში შემოსულმა ახალგაზრდამ. ყოველმხრივ ეტყობოდა, რომ იგი სტუდენტი იყო.

როცა დატოვებული მასალის განხილვას შეუდგეით, შიგ შეცდომით ორი გვერდი მშობლებთან დი ვასაგზავნი წერილი აღმოჩნდა. ეს უკანასკნელი უფრო სანტიერგო და ჰუმორისტულია, ვიდრე ჟურნალში დასაბეჭდათ მოტანილი მასალა. ამიტომ ჩვენ ვამჯობინეთ დაგვებეჭდა:

წერილი მშობლებს

ძვირფასო ნენავ, ბაბავ, ძმანებო და დავო!


აჰა კიდომ ერთიცახე და თქვენნი კზმაიე ჩამუა სახში, რომელიც უმაღლესი ცოდნით იქნება.

ჩემისთანა უჩიტელო მაქანაი არც კი იქნება. რომელიც მე არ ვაჯობე. იმდონი სტავლა მივიღე, რუმე ჩვენს სოფელს კი არა, მთელს რაიონს ეყოფა. წკაბზე მაქ სამე ვასათავებელი; ჩავბარებ თუ არა ექსამენებს, მომცემენ ზაბუთს, რომ მე რასაკურველია, უმაღლესი მაქ უნივერსიტენტი ვათავებული. მაქოურძ რომ არიენ ჩვენი მასტავლებლები, ანუ იგინი ჩემი რომ იყვენენ აფხანაკები, სულ აფერძ არ იციენ ენის და ლიტერატურის საქმეში და მოხაზულობაში. ეგენი ორივე დილექტიკურობაში უნდა განვიხილოთ მატერიალისტური ჩეალიზმით და დუუგოთ სოციალურ ეკონომიური პოლიტიკა სარჩულად. ლინგვისტიკას ამხინჯებდა ინდოეთი და ევროპეისტიკა რომელიც, რასაკურველია, ბურჟუაზიული არის.

ძალუნ და ძან მოკლეთ რომ ვთქვა, დიდი მუშაობის გაწევა მომიხდება, რომელიც ჩვენს სკოლას, ასწევს დაკარგულ სიმაღლემდე.


ჰოდა, ახლა კანკრაზ წკაბზეა ჩემი საქმე და ერთი ასი მანეთი უნდა მასტინოთ, თვარა დამელუპა ამდენი თავნაკლავი მიღებულ სტავანათლებს.

მეგობრული უარები



ვერ ცაში ღმერთს შეუტია,
ალარ მისცა მოხვენება.
გვაცნო ყალბი სახარება,
ბიზლია და ათი მცნება.

ველავ მიუჯდა მათიანეს,
დაშალა ისტორია;
გვაცნო „მართლის ცხოვრება“
რაც სიყალბე და ჭორია.



კარტიკა უნდა გედვილოთ და გვიჯდება ორმოცი მანეთი, ნაკლებ არ ქნეს. გუშინ მთელი დღე ვიარეთ ფოტოგრაფებთან, მარა ნაკლებ არ ქნეს. ერთან რუსი ფოტოგრაფი იყო.

- ჩტო ხატოტე? — გვკითხა მან.
- კარტიკის ვადალება გვინდა.
- ჩტო ვი გოვორიტე? — შეგვეკითხა კიდომ.

— ა, ბიჭო, პლატონ, უთხარი რაცა მაგ რუსს რაც ჩვენ გვინდა. — უთხარძ ამხანავს, პლატონამ ქე დეიწყო რაცა, მარა რუსმა მანინ ვერაფერი გეიგო.

— ვიდნო ჩტო ვი უჩენიკი ი ხატიტე სნიმატია!

რა უჩენიკი, გიჟია, ოხერი! კაცი უმაღლეს სტავლას ვათავებ და აგი კი უჩენიკს მიძახის...

დავაპირე ვალახვა, მარა შევატყ-

ვე იგი მომერეოდა და ქე დევეთო ხუე მის ვალახვას.

ერთი სიტყვით, მოგდივარ მალე, მომქვეს დიდი სტავლა და განათლება, მარა ასი მანეთი უნდა მასტინოთ ამ მინუთში, თვარა დეირლოვა დილექტიური ზაკონზომიერების კანონი და მოხდება ნახტომი, ანუ კალიტეტიდან კვანტიტეტში გადასვლა და ნეგაციის ნეგაცია, ანუ აპკენი თავნაკლავის უარყოფის უარყოფა.

თქვენი კოზმანი

შენიშვნა: ამხ. ნიანგმა ეს წერილი დასაბეჭდათ ვადმომცა. ჩვენ ცოტა შესწორება შევიტანეთ წერალის სტავლას და დალაგებაში, რომ ნაწილობრივად მინც ვასაგები ყოფილიყო მკითხველსათვის.

გმუქი



ძირულაში დამზადებულ ღვინის იყო სმეულება, (დამზადებულ ზოგ აპარატს ჰქონია ეს ჩვეულება) ჯერ ნადიმზე მოსულებმა ღვინის თასის პირი კოცნეს, შემდეგ ღვინო შინისკენაც წაიღეს და წააცოცეს. ჩვენმა კოწი შევლიდნენ — თვით სარდაფის სვეტმა — ბუხმა შინ კასრიც კი შეაგორა, (ლამის ხელი ჩამოუხმა). . . ეს იწყინა ლაშის თემმა, კერძოდ, გამგემ სარდაფისაშ და მუქარით დაიძახა: „აწ მე ვიცი რასაც ვიზამ! ვინ მიპირებს შეჯიბრებას? აფსუს ბიჭო, ალექსანდრე! — იმდენ ღვინოს მივახუხავ არ ენახოს სიზმრად სამტრესტს“... ერთი სიტყვით, ლაშის ტრესტი ძირულისას იწვევს სმაში, ვინც შეჯიბრში გაიმარჯვებს ნიანგო-ჯან დატყე თავში.

კ—ტი.

ისიდორე მოციქული


(კიწია, მარტვილის რაიონი)

წმინდა ისიდორს ხომ იცნობთ? (გვარია მისი — გოგია). სოფლის ღარიბნი გლენკაცნი ჰგონია მას ცხვრის ჯგოფია. შემოიკრიბა გარშემო — მან სოფლის ნაძირალები. უთხრა მათ: — ავამოქმედოთ სუყველა ჩვენი ძალები. სოფელი შემოიარეთ, აცნობეთ არე-მარესა, რომ მოციქულად მოვსულვარ და ცრემლს ვღვრი მათზე ცხარესა ჩემთან მოვიდენ ვედრებით, თან მოიტანონ ძღვენიც და რასაც მოიტანებენ, ის გასაყოფად ჩვენია.

შეჰყარეს სოფლის ყრილობა. როგორც რიგი და წესია. გამოაცხადეს: — მოვიდა წმინდა ისიდორ მესია!

მორწმუნეები დაიბრუნნენ წმინდანის სანახავად. ვის ფტვილი მოაქვს, ვის ფული ცოდვების მოსაკლავად. მოციქულ ისიდორესა მსხვერპლად დაუკლეს ცხვარია. ზიარებისთვის ჩამოადგეს წითელი ღვინო ცხარია. დაითვრენ... ჩხუბი ატეხეს, იშიშვლეს დანა, ცული. დასცხეს ერთმანეთს და კილამ გაანთხევიან სულია.

სი—გო.



მასწავლებელი: — ამრიგად, ბავშვებო, განათლების განყოფილებას ყავს ინსტრუქტორი.

მოწაფე: — რა არის ბატონო, ინსტრუქტორი? არ შეიძლება რომ ენახოთ?..

მასწავლებელი: — თუ გამოჩნდა ამ წელიწადში, განახვებთ! ტუკვაძეც, რომ აყუდებულხარ სანდროთა ლანჩავასავით, რატომ არ დაჯდები.

მოწაფე: — ექვსი ქე ზის პარტაზე და სადღა დავჯდე.

მასწავლებელი: — პერანძის ნუ ეფარებ, გეიწი იქით!

მოწაფე: — იქეთ წვიშ ბაგონო მასწავლებლო!

მასწ: — აბა უკან დეიწი!

მოწაფე: — უკან იატაკია ჩანგრული.

მასწ: — მაშ აგერ მოდი ბუხართან.

მოწაფე: — მეშინდა ბატონო, ბუხარი სადაც არის წამოიქცევა, ვერ ხედავთ როგორ არის გაშლილი და გადმოხენილი?

მასწ: — პერანძე მიხურე კარები, გავიყინეთ, ქარბუქა.

მოწაფე: — რაღა მიცხურო, კარებიც რომ აღარ არის!

მასწავლებელი: — აჰა, ჩემი პალტო მაინც ჩამოაფარე!

მოწაფე: — ფანჯრები რომ არ არის, ხომ დაბნელდება სულ და როგორ ვწეროთ?

მასწ: — შენ, ტუკვაძეც, რა გაცეკვებს გაკვეთილებზე?

მოწაფე: — ფენი სოფელი მაქვს და სიცივე ბატონო!

მასწ: — მაშ ვიციკვოთ, ამხანაგებო და გავთბებით ((კიკავენ).

კ. კოსტაილი

ყურმოკრული

— გაიგე? ინგლისში საბჭოთა კავშირიდან ხე-ტყის შეტანა აუკრალავთ?

— ეგ კი გავიგე, მაგრამ აკრძალვის მიზეზი კი ვერ გავარკვიე. ნუ თუ ჩვენი ხე-ტყე შუბლმაგრებისათვის ასე საშიშია?

— საშიშია და მერე როგორია მათ მოხვენების პირველი მტერი ჩვენი ხე-ტყეა; როგორც კი მას წარმოიდგენენ, მაშინვე სოციალისტური მშენებლობა მოაგონდებათ და აკრძალავენ, თუ გაუვიდათ მაშ რას იზამენ?

ვ ე ლ ი ს ც ი ხ ე

ელექტრო-სადგურს არ აქვს წამალი განსაკუთრებულ სრულიად, თურმე, და „მექანიკი“ ბორბლის ტრიოლზე მღერის „აღზევანს“ ვითა მღერამე! ჩვენ-სარეწარტელს ვერ გავუფე მიზან გაცემბო, თორი წელია რაც იქ ყრია ჩემი ჩექმები! მაგრამ არ იქნა არ ფწია მას რიგი თუმც ჩემზე გვიან მიტანილი შეცვრეს სტვისი! აქ ფოსტის საქმე დომბალივით არეულა, და გამგის ხელის საქმეებში არ სჩანს სრულიად!

ლენბო.



6

შემოდის ორი ინჟინერი.
პირველი:—ნატანტაროს წიღოვანი ღენთი უნდა ტუმბოვანი სვლივებით ღუნადობდეს.
მეორე:—სილოთხა, საგოზავის ტაბუცი? პირველი:—როცა ჯუმღლება და ჯიფთი სურინჯის ფრად ხშულობს, მაშინ მახლახის აირი წიარაზე დაიწერტება. წერნახის კანკიცი ეგზომ უჩინმაჩინია, რომ ღინგი უენადია ქსაქსი და წირი მხოლოდ დროზედ უნდა დრეკადობდეს. კარგია გლუ სუნებიც, მაგრამ წვიღობანანს წერტი—ხრწნადია და ღუნადი.
მეორე:—ვასაგებია...
მეწოვე (თავისთვის) ისე ღმერთი შენ გიმშვიდის...
პირველი:—შეწვივული ძერწვა ცქიტურის კუთხ—სახომდარშია, და ამიტომ არის, რომ წრეწირული ძრობა ასეე ღრუობს.
მეორე:—ქმოსანი და კანკიცი გუფარულია, მასასადამე უნდა ჩქიფით ამოვიღოთ ჩერტიანი.
პირველი: მეჩე, ყიბლანის ყვინთვა, რომ ძნადია? ამიტომ იყო, რომ გუშინ ონკანის ხეიმირა თაბაშირით დავიწინდებ. მაგრამ როცა ქურთი აზამბურადია, მყისვე შთანგი მიუყენე!
მეორე:—ვასაგებია...
პირველი:—მაშ ასე. წრიტნარი უმკველად უნდა შეიყურსოს, მეჩე თანგადიც, ქვიგაც, ქოქონიციც და ღარანდიც თავისით გაღადა ქეცეღობაში...
მეორე:—ვასაგებია. (გადასვლა).
მეწოვე:—ალბად, ესლახან გამოღრეკიათ საგუეუიღან, აღსუს, მეჩე რამხელა მუღლია ჰქონდა იმ ერთს მაინც. (ჰგვის და მღერის):
„ოქრო ოქროს შეუწინე,
მარგალიტი მინასო,
ნათლიდების სილამაზე
არას არგებს სეინასო“...
7
შემოდის ორი ახალგაზრდა პოეტი, ერთს ლოყახე რაღაცა ნიშანი აქვს დმატული, მეორეს კი სხვადასხვა ღერის ტრეტებიანი შარვალია აცვია.
პირველი (ხელს ვაშლის):— ააა! იიი! უუუ! იეი!
მეორე:—ბორ, ტორ, შორ, წორ!
მეწოვე:—(სცენის სიღმეში მიიყუნება და გაევირებული შესტყერის, ყოველ მათ შეძახილზე თითონაც შეხტება):
პირველი:—გუშინ აიგანზე გაიშალა ხამხახი, ია, გლეჯინია!
ესლა უნდა იტროო თუ ერთხელ გაივინია რა ფუთხრა ომასკოშს ყველაფერს ჰყიდის ძვორად ვეღარ გავიგებ როდის მოდის მახათი, კვირია!
მეორე:—კლუბად ვახადღს საყდარი მოღინი, მაშ საღ დავსვენო ეს სული მოღლილი?..
პირველი:—მიყვარს როცა საშარეღელ ჩავიცივამ გალიდეს.
მეორე:—საქეიფოდ წაეყვან ჩემნაირ არიფებს!
პირველი:—ავაფრიალენ ყავარი, ლექსი დავსწერე რავარი, სულ ოქროა და ჯავარი.
მეწოვე (თავისთვის):— ააფრინე ალალი, რაც არ არი, არ არის!
მეორე:—ჰარა გედღისან!


კულა იღომ, როგორ ხარ, ვონტეს!
ღღეს მე მუშკაოში ვრბო არ მომცეს
პირველი:—ეს კუჭი ვახმა, ადარა აქვს მას ხმა,
მეორე:—ხომ მოვწონთ ეს დროება?
კულე რაღაცა მოტბა...
პირველი:—სად არ ვიყავი, რა არა ენახე, იმ შენი თავი, რად არის მკვასე?
ტრამვი, მიღის, მიღის, მიღის, მაგრამ ეთი აღვალზე დღეს!
მეორე:—სკუჯა მგლავს, სკუჯა მაწუნებს, მიძნელებს დინანასა, გაღაგბურუნდები პასტელზე დავიწყებ მეტრანასა...
პირველი:—ანაფორა შეგიკრავს, ჩემო ძმაო ექვთიმეო, ორი შარვალი გამოცა— ერთი შენ და ერთი მეო!
ორივენი:—მოვლივართ ხაბარდა, წარსული არ გვინდა, ის არხივს ჩაბარდა მოვალთ რიგრიგადა, პოეტთა პრივად, ტრამ—ტრამ... ტრამ—ტრამ...
პირველი:—მაგრამ საშობლოე, შენი ღარგი მტანჯავს, მაწუნებს, თავს დავსევია სასიყვილი: ქირი და სნება, დაჭრილი გული შეუპყრია ქანჩებს, მარწუნებს! და რომ იყვირო, ჩემო კარგო, ათა გაქვს ნება!
მეწოვე (თავისთვის):— ვაი, საშობლოს თქვენს ხელში.
მეორე:—მე ვარ პოეტი, ყველაზე დიდა!
პირველი:—მე ლექსებს მხოლოდ ღვი—ნოზე ვყიდი
მეორე:—რად მინდა ფული, ხელის ქუჭკია; ვაი მას, ვისაც ბლომად უწყვია.
მეწოვე (თავისთვის):— მოკვირს აწნაირ გიყვება, რატომ არ იქერს მილიცია?
პირველი:—წინ, წინ, წინ,
მეორე:—ძინ, ძინ, ძინ, მესმის ზარის რე—
პირველი:—მე შენა ხარ ვაჰ?

მოდო რალა ვერუქ—ალა...
ვაი წილა, წილა—წილა...
მეორე:—ეს რა ღერია პირველი:—მშენიერიო.
მეორე:—ჩვენი ერთა, პირველი:—ბედნიერია.
მეწოვე (თავისთვის):— რამდენი გადა—რეული ხალხი ყავს ამ დალოციელ ქვეყანას!
მეორე:—დიპლომატო, ტაში, ტაში, მეწოვე:—გეტყობა, შეილოსა!
მეორე:—დიპლომატო, ტაში, ტაში, არც ცხადში ვარ, არც სინმარში. დიპლომატო ტაში, ტაში, რას არ მოესცემ ერთ რითმაში. დიპლომატომ ტაში, ტაში, გარ ვიშოვე ვერსად ხაში, ტაში, ტაში! (ფოქსტროტს ცეკვით გააღიან).
მეწოვე (გამოიჭრება სცენის სიღმიდან და მეორე მხარეს ვასახებს):— მილიცია! მილიცია! მოდი ჩქარა კაცო, აქ რაღაც სხვათირი ხალხი დასვირნობს...
ეს, (ცოცხს უფრო მაგრად წაჰკრავს ნა—გავს და მღერის ხალხისაკენ):
აბა, ერთი მითხარით, რა ხალხია, რაჲა ჰგავს, არ სჯობია ეს ხალხიც გავტანო ამ ნაგავს? იგონებენ ძალათი გაუგებარ „სიტყვარებს“ და ჩვენს სამტროდ რაზმავენ, რაღაც სიტყვების ჯვარებს. „ანგარანი“, „საყული“, „ცქიტური“ და „გლუსუნი“— აბა, რა ქართულია, ჩათ აუტყდეთ კრუსუნის ფილიპემ თქვა: „ნანტროას“ ეინც „ანგარანს“ იმსგავსებს: იგი უნდა იყოლო— ანგარებით აღსავსე. და ჩვენც გვინდა წკიპურტი გაიკრათ ჩვენის სცენიდან რომ არავინ იმსჯელოს კიდევ ამგვარ ენათა.
ი. გრიზაშვილი.
ნახ. ღონის.



— ბევ. ბიუროკრატია რკინის გზაზე... ერთი თვას წინად ამ რბილ ვაგონში საჯდომებს ვადაკრული ხა ვერდი ჩამოვაჭერი, და მას შემდგ კიდევ არ გადასჯრავთ ახალი.

* იხ. „ნიანგი“ № 3.



— აი ასეთი ტრაქტორებს ხაწი-
 ნააღმდეგო მე არაფერი მაქვს...

— მაგრამ ასეთი ტრაქტორების
 წინააღმდეგი მე ყოველთვის ვიქნები!

მასა-გასა

გაუბებრობა

რა სჯობია სამსახური
 გაუწიო მშრომელ მასას:
 ცვერცხს თუ, ცალის მაგიერად,
 დაურიგებ თითოს — ასასს,
 კილოობით მისცემ რძეს, ყველს
 და ფუთობით — კარტოფილსა,
 და მის შემდეგ სჭვრეტ სიამით
 მშრომელ მასას კმაყოფილსა!...

აი, რაგვარ იმედებით
 გაიმსჯეაოა ჩვენი ბასა,
 საბჭოთაულს თავმჯდომარედ
 ჩაუღდა და მართავს მასა.
 მაგრამ მასა რომ ჰყავს ზღვასა,
 აიან ეს სთქვა, იმან-ისა,
 ჩვენი ბასაც, ვით ნაფორი,
 მსხვერპლი ვახდა ამ ღელვისა...
 ამას მიყვა, იმას მოყვა,
 მესამესაც მისცა მხარი,
 თითქოს მთვრალი იყო და ქვეშ
 ირყეოდა მთა და ბარი...
 აირია ყველაფერი:
 პრინციპები, რწმენა, ზრახვა...
 იმ დახურულს გეფიცებით,
 შიშსა მგერიდა ბასას ნახვა!
 ბოლოს საქმე იმით მორჩა,
 რომ მოიხსნა ბასა ჩვენი,
 კაცი მტრედურ მართალი და
 ყორანივით შენარცხვენი!...
 ასეთია ყველას ხვედრი,
 უმიზეზოდ ცეცხლით მწველი,
 თუ აკლია მასის მსახურს
 გამოცდილი მტკიცე ხელი!

რ—მე.

— ბიჭო, აღმასხანეს რომ გოგო
 ჰყავს, ცოტა კოჭლი კია, მარა ვაი
 მეოჯახეა. მეიყვანე შეილო! — მეუბ-
 ნებოდა მამაჩემი წინად.

ცოტა არ იყოს არ მომწონდა, მაგ-
 რამ გულში რაღაც მაინც გამიღიტი-
 ნებდა.

ეს ამბავი რამოდენიმე წლის წინად
 იყო, მაგრამ ახლა სად მე და სად აღ-
 მასხანეს გოგო? აღმასხანეს გოგო კი
 არა ისეთი კოპწია (სემც ღმერთი
 იმას უშველის!) გოგო მოვიყვანე,
 რომ თქვენგნით მოწონებული!

ჩემ ცოლს მოწყინდა სახლში ყოფ-
 ნა რა გადასწყვიტა სამსახურში დად-
 გომა. წავიდა კადრების განყოფილე-
 ბაში.

— არიქა. ქალო, სად ხარ ამდენ-
 ხანს, აიღე ქაღალდი და გაიქეცი ამა
 და ამ ადგილას საქმეთა მმართველია
 საქირო — უთხრეს ჩემ ცოლს და ერ-
 თი დაწესებულების გამგეს გაუგზავ-
 ნეს.

გამგე კაბინეტში რბილ სავარძელ-
 ში წამოაბმული თამბაქოს აბოლებდა.
 დაინახა თუ არა შესული ქალი, სერი-
 თხული სახე მიიღო:

— მე არავითარი საქმეთა მმარ-
 თველი არ მქირდება. გახსოვთ მიბრ-
 ძანდეთ ხელს ნუ მიშლით! — მკაფიოდ
 უთხრა გამგემ.

იქიდან გამობრუნებული ქალი კა-
 დრების განყოფილებაზე მეორე ადგი-
 ლას გაგზავნა, სადაც იმავე წუთში
 მიიღეს.

მეორე დილას შემოსხენებულმა
 გამგემ ტელეფონით კადრების განყო-
 ფილება გამოიძახა.

— რატომ არ მიგზავნით საქმეთა
 მმართველს? — გაჯავრებით იძახდა
 ის.

— გუშინ, რომ გამოგვიგზავნეთ
 რად არ მიიღეთ? — უპასუხეს იქი-
 დან.

— ის რა საქმეთა მმართველი იყო.
 ჯავრობდა გამგე.


— როგორ, საიდან იცით, რომ არ
 იყო?

— ზედვე ეტყობოდა. — მოკლედ
 უპასუხა გამგემ.

— მაშ სახეზე და ჩაცმულობაზე
 თუ იტყობთ თქვენ მომუშავეს, კე-
 თილ ნებეთ და თვითონ მოძებნეთ!
 — უპასუხეს კადრების განყოფილე-
 ბიდან და ტელეფონის მილი ჩამო-
 კიდეს.

— კაცო შენი ცოლი იყო ის? —
 გაკვირვებით მითხრა ერთხელ იმ გამ-
 გემ და მორცხვად თავი ჩაღუნა.

კ. გლახუნა.



ე. ო. ლ. ი. ნ. ა. ე!



არც უნახავთ

ვაი ნიკოს!

ნოე ბატკანი

ცაგერის „პარტიზანთა სამკერვალოში“ შეგროვილი არიან ყოფილი ვაჭრები, რომლებიც მომხმარებლებს ტყავს აძრობენ.

ი. ი. ურგეთის აბანოში ხშირად წყალი წყდება და მობანავე ზოგიერთ შემთხვევაში უმწეო მღვთმარობაში რჩება.

სადღურ საოლიეთის (კიათურის ხაზი) სადგ. უფროსის თანამემწე ნოე ფხაკაძე, რომელიც იმავე დროს მოლარის მოვალეობასაც ასრულებს, ზედმეტ ფასებში ყიდის სამგზავრო ბილეთებს. როცა მგზავრები ამ საქმეში შენიშვნას აძლევენ ის უპასუხებს:

— ზედმეტად გადახდილი „საშეფო“ დამატებულ ან „ინტერნაციონალის“ ან კიდევ „რემედასის“ სასარგებლოდ მიმაქვსო.

მორკმავითელი.

ღათო.

ვაიკო.



სამოქალაქო ომების — არც კი უნახავთ ზმანება, ახლა არტელში შემძვრალან თავს თვლიან პარტიზანებად.



ნიკოიამ აბანოში გაისაპნა სახე, თვალი, ახლა უნდა გაიბანოს, მაგრამ უცებ.. შეწყდა წყალი. საბტად ღარჩა ჩვენი ნიკო, თავს იქეჭავს, იცდის დიდხანს, პირის ბანას მიატოვებს და ამომწვარ თვალებს იფხანს. უცდის... წყალი აღარ მოდის, ვაი ნიკოს, ვუი ნიკოს, ურჩევნია ოზურგეთის აბანოში სულ არ იყოს.



ნოეს ბაგიდან ნიანგი სწორედ ამ პასუხს ელოდა, მაგრამ სხვა პასუხს მოისმენს გზის პოლიტსამმართველოდან.

„შხ. სამება“

9 მაისს მბეჭდავთა კავშირის დასურულ განმანაწილებელში დაპატიმრება სამი ნოქარი რომლებიც მწვანეების გაყიდვის დროს მოხმარებლებს წონაში ატყუებდნენ. კოლაშანი.

თავმჯდომარის ღიღინი

ქუთაისის რაიონის სოფ. მალლაკის სარეწაო არტელის გამგემ ვასილ ლეჭვიანიძემ სახლისკენ ჩუმად „გააიმასქნა“ მუშების სახელებს გამოტანილი 45 მეტრი ფართალი მას იფარავს მალლაკის თემდამასკომის თავმჯდომარე.

მალლაკელი.

ვუზიარებ ყველას

(ცნობა კახელიდან)

ერთ მშვენიერ დღეს სახლში ნაცნობი ბეითალი მესტუმრა; სწორედ იმ დროს შემომასწრო, როდესაც სწორჯაბოდ ნაყიდ ღორს სალაფავს ვაჭმევდი, საკვების სიმცირის გამო და ზემოთი სალაფავი ნახევარი წავაროცე და საღამოსთვის შევუნახე. ღორის ღრუტუნმა და ტყვიელმა ჩემზე ისე არ იმოქმედა, როგორც ბეითალზე და დარიგებით მომმართა: „ღორის კვება ასე არ ხდება, უილა კარგად გააძლო, თორემ შესაძლებელია გაუმძღარი ღორი დაავადდეს“.

მე ეს ჭკუაში დამიჯდა და ვუზიანოე სხვებსაც, თუმცა სართიქალის საბჭოს თავმჯდომარესთვის არაფერი მითქვამს, რომელმაც გაასუქა ღორები „იოლი გზით“ — ნაშოვარ სიმინდით და რაღაც 2.000 მანოვალ გაყიდა.

მანაჲ.



არ მიწყენით ვასიკოს კაცია ალაღმართალი. რა ვქნათ რომ შინ წააცოცა მუშების ხვედრი ფართალი.



ესეი მორიგი საკბილო, თუმც კბილსაც არ იამება, საქურდავ მთხოვზე მიისწრეს სამი ბინძური სამება.



ნიანგის საკბილო



სოფ. ჭვემო-ჭალა

(გორის რაიონი)

შვიდწლედის გამგეს უყვარს მსუქანი ხორცი ღორის, (შკოლის ეზოში მიტომ ყავს არა ერთ-ორი!)

ჭვემო-ჭალა.

გამგე ამბობს:
ნუ დამძახავთ
ნუ მიწი ჯებთ ავსა,
კვერცხს ვამზადებ,
თვითონ ვყლაპავ

მცხეთა

იციობდეთ ჩალიგავს არის ცნობილი გმირი, (ბევრი იწუწუკა უკვე და გაიშავა პირი!) მაგრამ იფარავს მშურად „დიდი კაცების“ ხელი, მიტომ ხახვივით შერჩა ბევრი ცოდვები ძველი! ბავშვთა ახალშენს ახსოვს მისი უხეში ღრენა,



ლორს უნდა კარგი კვება ეს შარაშიძემ იცის, მიტომაც შკოლის სიმინდს, — (თითქოს ეს იყოს მისი!) აჭმევს გულუხვად მუდამ და ზრუნვას არ აშორებს, მოწაფეთ აღზრდის ნაცვლად, ზრდის ჯიშინასა ღორებს!



ეს მიმატებს ჯანსა! ისე როგორ ვიქაქანო მე ღლეები მოელი! დიდი საქმე მზარია, მე ვარ გვერდწითელი!



იქიდან გამოაგდეს და ჩაუმწარეს ღენა! მაგრამ „ეპოში“ მყისვე შერგო მსუნაგი თავი, ამბობს: „თუ კაცი ვარკა რას უხამს საქმე შავი!“

სოფ. ახუთი

სოფ. ახუთის (ჩხორი წყის რაიონი) ოთხ წლედის გამგე მ. ჯიჭი- სისტემატიურად ლოთობს და აცდენს სასწავლო საათებს.

რონდო.

ყოჩად ჯიჭიავ, ყოფილხარ ლოთი

სოფ. დაბლა-გომი

(სამტრედიის რაიონი)

„სოფ. დაბლა გომის (სამტრედიის რაიონი) ალკკ კავშირის სახელობის არტელის თავმჯდომარემ ილ. ჩაჩუამ მიითვისა კოლმეურნეობის სოია 70 ფუთი.

მიიწო.

სოიას ქურდი ჩაჩუა ალბად ყოჩალი ბიჭია,

ჭვემო-სვანეთი

„ქვემო-სვანეთის კომ. განყოფილებაში მსახურობს ცრუ სვეტი ილია ფალიანი, რომელიც ხალხს უხეშად ეპყრობა და მეტ ღროს მივიღინებებში და უსაქმოდ ხეტილში ატარებს.

ლენტიანელი

ეგ ილია ფალიანი რადგან არს თავქარიანი.



და გსურს ლოთების აღზარდო კადრი? ამგვარ „შრომისთვის“ ვისგანაც ჯერ-არს, მიიღებ ალბად ჯილდოს საკადრის!



(კაცის ღირსება არ არის ქონდეს ქურდობის ნიჭია?!!) სოია თუ მოიპარა და ისახელა თავია, კვლავ მოიპარავს, იცოცხლეთ — ამისთვის დამნაშავეა?



ამიტომ მას მოუხდება ნიჩბი გრძელ ტარიანი!





ქოზულეთის სადგურზე

წერილი პლატონს (სვანეთისათვის)

საქრებულო ქოზულეთისა

ახალი კურსები

1-ლი მგზავრი:— (სადგურის უფროსს) ამხანაგო მორიგე მატარებელი უკვე გამოსულია, ბილეთები გინდა სალაროში კი მოლარე არ არის. როგორ ნოვიქტეთი?!

სადგურის უფროსი:— სად ჯანდა ბაში დიკარვა ის ოჯახ დაქცეული; ყოველ მატარებლის გამოსვლაზე ასე მიშვეება. მომკლა, გაშთაფა კაცი!..

საბარგო მოლარე:— სადაა და ეშმაკებში მისი თავი! ავერ გამოსულა სადგურის წინ და არმიყოფს ყმაწვილებში გამწარებელი!

მატარებელი ჩამოდგა. ხალხი ირევა, არის ყვირილი ლანძღვა გინება... მგზავრები ოფელგადახეთქილი ეძებენ მოლარეს.

სადგურის უფროსი:— რა დროს არმიყოფა აქვს ამ შეჩვენებულს მატარებელი ჩამოდგა და უბილეთოთ დამიტოვა ხალხი?!

მე-2 მგზავრი:— ამხ. მორიგე, მოგვეცი ბილეთი!..

სად. უფროსი:— მე ხომ მოლარე არ ვარ, ამხანაგო! სალაროში მოგცემენ ბილეთს...

მე-3 მგზავრი:— (დაასწრებს მეორეს) თქვენ ოჯახ დაქცეულბო მოლარე შიგ არ გყავთ და ვინ უნდა მოგვეცეს ბილეთი, არ დამტოვოთ მატარებელზე თვარა დავლენ აქაურობას!

საბარგო მოლარე: მოლარე ამხანაგო სადგურის წინ, იქნება ყმაწვილებში არმიყოფდეს და თქვენ თითონ მონახოთ, ოქროს კბილებიანი ქალია, ხელში გაააღებები უჭირავს და ათამაშებს.

მგზავრები გაუბრალებით დარბიას სადგურში და ეძებენ მოლარეს,

მატარებელი იძვრის.

მგზავრები გულდაწყვეტილი აყოლებენ თვალს მიმავალ ვაგონებს. ბაქანზე ჩნდება მოლარე ქალი, რომელიც ცხვირსახოცის ქნევით ემშვიდობება მოარშიყე ყმაწვილებს.

ბრატუნა.

მეტამორფოზა

1.

— ივანე, მოახმარე კოლმეფურნეობას შენი მუშა საქონელი?

ივანე: არაფერი გამოვა... მე საერთოდ არ მწამს სოციალიზმის აშენება.

2.

— რამდენი მოიგოთ თქვენმა ობლიგაციამ?

ივანე:— 1000 მანეთი. კიდეც ავიღე. ახლა მე მწამს, რომ სოციალიზმი პართილაც აშენდება.

— გამარჯობა პლატონს როგორ ხარ? რაო? გაზეთი „კოლექტივიზაცია“ არ ვახეხებ? მაგი არაფერია, სწერონ და იკითხონ ვინ რას გაზამს, რა გიჭირს რაიკოთ კავშირში ყველა შენიანი ბიჭებია. ალექსანდრე ხომ მანდ არის ის ძველი „დამპყრელი“, მერე რა ვუყოთ, თუ ზემო სვანეთიდან გამოვადგეს. ხომ გაგიგონია: „ორაგული წყალში გადაადგესო“, — ასე მოუფიქრე და ჩვენ ძმას. ზემოსვანეთიდან ექვს ფუთ ყველს ვერ „გაიმასქნებდა“ და ქვემო სვანეთში, ქე შესძლო. ალექსანდრეს უთხარი ბიჭო, რომ რაღაც მითქმა-მითქმა შაგის ექვსთვან მივიტოვებუბზე, მაგრამ არა უშავს! 5.000 მანეთს უკანონო „გაქაფვისათვის“ ვინ რა უნდა უქნას. ბულალტრები მისი ძმა-ბიჭები არიან, ჩამოაწერენ!

პლატონს თავს მოუფრთხილდი ძმაო, იმ 13 წყვალ ჩექმაზე და „ჯემპრზე“, რაღაც ხმებია. დაინხარე შენ რომ იცი ივანი. თორემ მეშვიდეთ რომ ჩავარდე ცუდია; თუშცა კიდეც ქე დაძვრები ხელიდან. სასადილოს საქმე კარგად მოაწყვე იცავდი. თუ ათი წლის სტაჟი არ ექნეს მიკიტნობის, სხვა არავინ დაუშვია. რომ აპარატში შენი ბიჭები არ გყავდეს ნახევარსაც ვერ „გაიმასქნებდი“, რაც შენ ბესოსთან შესძელი. ის კარგი გიქნია არჩილა რომ ხაწყობში გადაგიყვანია. მასე სჯობს. აბა შენ იცი, პლატონს იმის ჯავრმა არ შეგაწუხოს შენ რომ იცი. სწერონ და იკითხონ მეგენს შეტი საქმე არა აქვთ.

შენი დაუფიქრარი ძმა „**ლენტახელი ბოლტი**“

ახალი გამგე (ჩოსტაბაური)

საქვეყნობის მალაზიას აქ განაგებს სიმონ „ჯელი“, ვაზე არის და კაცია. ბევრი საქმის ვადამხდელი, ჯერ ვაჭარი ყავდა მამა, იმანც მიჰყო შემდეგ ხელი. ვახანა დიდი მალაზია, გაიჩინა საწველელი... დიდხანს ველარ იხეირა, დანებდა ბოლოს თავი, რომ წარსული დაეფარა გადაიცვა მან ცხვირის ტყავი. კარიერაც გაიჩინა „გრუნდოსტორგში“ მოკალათდა, სხვა ვაჭრებიც შეიხიზნა დაფარა უბეი კალთა, გედევანი ნოქრად დასვა, რადგან ქონდა მისი ვალი, საქმე კარგად „მოქაზრავდა“ გაუბრწყინდა ხარბი თვალი, მოსულ ნივთებს, ანუ ფართალს თვითნებურად ანაწილებს, ბევრს ისტუმრებს საწყობიდან ხელ ბევრს კი უკრეჭს კბილებს, კიმი,

ჩხარბი. აღმასკომის თანამშრომელმა ვ. ნემსიწვერიძემ დაარსა შექრთამეობის კურსები. კურსებზე ლექციებს კითხულობს მხოლოდ ნემსიწვერიძე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიიღოს კაცმა ქრთამად—გრამაფონი, ავეჯაულობა, ფული და სხვა.

ჩხარბი

მადლოვა

ოზურგეთი. შესდგა მიტინგი ბაზარში მოხეტიალე ღორებისა, რომელსაც გამოტანილ იქნა დადგენილება, რათა სამადლობელი პატაკი გაეგზავნოს ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს, რომელმაც მათ დიდი პატივი სცა და ნება დართო საკოლმეურნეო ბაზარში თავისუფლად თარეშისა, სადაც მათთვის მუდამ იშოვება საკბილო რამეები.

კველი.

უსამართა თავშესაფარი

დუშეთი. ვინაიდან დუშეთის ორსტატეტეგრაფის განყოფილებაში განხირდა უბასუხისმგებლობა მოვალეობისადმი თანამშრომელთა შორის — განზრახულია ამიერიდან ფოსტის კანტორას, დაერქვას: „უსაქმურთა თავშესაფარი“.

დუშეთი.

საგანგაობა

საგანგაობა. ხარაგაულის საავითყოფოს გამგემ გადაიხადა დიდი ნადიმი, რომელზედაც წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „მიქარა ვენ, როცა ჩემზე ამბობენ, ვითომ დაზღვეულ ავითყოფების ნაცვლად კერძო პირებს ვიღებ და ქრთამს ვარ თმეო“.

დამიერი.

უგადური უმთხვევა

მარტვილი. კოვბ. ნოქარი შალვა თოფურია, როცა იგი მთვრალი იყო და ვადამალულ ფართოფულის და სხვა საქონლის სახლში წაღებას აპირებდა — გადმოვარდა კოვბ. სავაქროს კიბიდან და მოიტეხა ორივე ფეხი. დაშავებული თავს ცუდად გრძნობს.

ანკასი.

კოლმეურნის სიგლარა

კოლმეურნეთა რაზმები თესვისთვის ეშურებაო! მიწის ხეულები ტრაქტორით; მწკრივებდა ვადახნებო, ქალაქიც დაგვენმარება ბრიგადა მოგვადგებაო, ეანგმოდებული გუთანი, ხალისით შეკეთდებაო! კულაკებს, სოფლის ბობოლენს, თვალები დაეცნებაო, ჩვენი არტელის მიღწევით აუტირდებათ დედაო!

ანკასი.

კონკურსის პირობები

კონკურსის სარედაქციო მდივანს მიმართა ყველა ჩვენს გამომცემელს, გარდა ჩვენი მუდმივი თანამშრომლებისა.

საკონკურსო წარწერების მიღების უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1 ივნისი, რის შემდეგ წყდება მათი მიღება.

პირის მიერ მოწოდებული იქნება 4 წარწერა.
1 და მე-2 პრემია — თითო 50 მანეთი — 100 მანეთი.
მე-3 და მე-4 პრემია — თითო 30 მან. 60 მან. სულ ოთხივე პრემია — 160 მან.

კონკურსის შედეგი გამოცხადდება „ნინავის“, საიუბილეო ნომერში, რომელიც გამოვა ივნისის უკან ჩიცვებში.

კონკურსზე უნდა იყოს წარწერა „კონკურსისათვის“.


(ამოსკერიტ, შეავსეთ და გამოგზავნეთ)

ნახატის სათაური

წარწერა

ავტორის მისამართი

სად მუშაობთ და რა საშუაოს ასრულებთ?



დათოს (ვაგერი), თუ თქვენს ლექსს დავუჯერებთ, დიდი „ფოკუსი“ ვინმე ყოფილა სეთა (გვარს რატომ არ იწერებთ?), რომელიც ცაგერის პროფკავშირში მოკალათებულა და რომელიც ფნილობის დროს ცუდად მსჯელობს რომ დათვრება — სწორად, ვირებს, — მისგან გამოქედის მოგვაჩვენებს ჯორადო.

ცოცხს (ქუთაისი) ჩვენ ვერ გავიგეთ, რა ბრალდება უყენებთ ქუთაისის რ. გზის სადგურის ანგარიშის თანამშრომელს მარო ფურცხვანიძეს ან რა უნდა გავიგოთ ასეთი ლექსისაგან:

ფურცხვანიძე მარო საქმის მწარმოებელი მთავარი ამაყი, შეუღრეკელი, ქალების მამამთავარი.

არც ქვევით მოყვანილი ბრალდება იმავე დაწესებულების თანამშრომლებზე ნათლად გამოსახული:

ჭიჭინაძე, ჯანელიძე მოანგარიშე ქალები, ხუჯაძე არის უენია, გაქცევაზე აქვს თვალეზი.

უენია გაქცევაზე ფიქრობს საფანგში გაბმულ მეგლივით, ჭიჭინაძემ და ჯანელიძემ რაღა დააშავა? ყოველმა „ცოცხმა“ უნდა იცოდეს, რომ ყველა ერთი ცოცხით არ გაიხვეტება.

ორი გმირი

(მიათხრის რაიონი, ლიჩის თემი)

მე საიდუმლოთ მიყვარს ბაასი, და ნაკიბს მხოლოდ შენთან გამხვდია რომ დააჭირო კბილები ბასრი და შემოსძახო ზედ „ორთველა“.

ვიცი ატყდება ღრიალ-განგაში, როცა ამ გმირებს აუწყევ ყურებს, კაცს ეგონება ქუხილი მთაში ეღიშერ ერთხელ რომ შეიყვირებს. ეღიშერ გვარად ხარიაშვილი ლიჩის თემშია „დიდი“ ფიგურა, მაგრამ წარსული, რაღაც ამ კაცის, ჩვენთვის ნისლივით ჩამოიბურა, (განთქმული არის მთელ მსოფლიოში, კველას მკონია დიდი გმირია, ძველი ვაჭარი და გამფლანგველიც დღეს ფინმუშაკობს, ედიშერია). წინად შესჭამა მთავრობის ფული, ახლა სხვა მხარეს იბრუნა პირი, მან მასწავლებლებს გადააფსანსლა თითო კაცს ორი თვის ჯამაგირი, მაქარაშვილსაც სცემა სასტიკად და ტაბიძეს კი მხარი მოსტენა, ჩვენს თემს უშველე ძმაო ნიანგო თორემ ედიშერ დაეცა მებად. აქ არის კიდევ მეორე პირი კაცი განთქმული, როგორც დაბრტყმელი, ვინმე ლომიძეს — მოანგარიშეს გაწაფული აქვს ცემაში ხელი

არამზანი

ნახ. ქოქიაშვილის.



წამოიღო მას ქალაქში რძე მაწონი და ნახშირი. ტვირთი იყო მეტად მძიმე და აღმართზე დადგა ვირი.

— აცე ვირო, აცე, აცე! ჰყვიროს იგი და სცემს ტყვილად. შემთავდა ზურგზე ვირს და... შინ დაბრუნდა ვირი წყვილად.

საითაც გაიქცა, იქითკენ წაიქცა

საბჭოთა კავშირიდან შესატანი საქონლის შეზღუდვამ (კვარკოშ) ცუდი შედეგები გამოიღო განსაკუთრებით ინგლისის მრეწველობისათვის (გაზეთებიდან)



მუშათა კლასის მიღწევა
გული დაუჭანო, დანება,
გულის ფიცარზე ლესავდა
თავის დასაკლავ დანასა

ველარ მოჯომა მოქნილი
თოქი გადაჭრა ფიცხლად,
და თავის ნამოკმედარი
თავზე დაატყდა რისხვად